საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ირი

ირი, სოფელი ონის მუნიციპალიტეტის წედისის თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი), მდ. ჯეჯორის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1180 მ, ონიდან 15 კმ. 43 მცხ. (2014).

რაჭის 1991 წ. მიწისძვრამდე ი-ში მუშაობდა ჩორდის ბარიტის მადნის გამამდიდრებელი ქ-ნა, რ-იც ბარიტის კონცენტრატს აწვდიდა ლაქ-საღებავების მწარმოებელ და ნავთობის მომპოვებელ საწარმოებს.

ი. წყაროებში პირველად მოიხსენიება XIII ს-ში. სოფელში შემორჩენილია ადრინდ. ფეოდ. ხანის ეკლესია.